



საქველმოქმედო ფონდი "ლირა" დაარსა გამოჩენილმა ქართველმა პიანისტმა და საზოგადო მოღვაწემ, ელისო ბოლქვაძემ 2012 წელს საქართველოში, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდა ნიჭიერი, ქართველი პიანისტების აღმოჩენას და მათ ხელშეწყობას.

ფონდი "ლირა" მნიშვნელოვანი ტრამპლინია მათი ნიჭის გამოსავლენად საერთაშორისო ასპარეზზე.

"ლირა" მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო ფონდ « *SOS Talents – Michel Sogny* » (შვეიცარია).

ფონდ "ლირას" მხარდაჭერით 10 წლის ნორჩმა პიანისტებმა ბარბარა თათარაძემ და ილია ლომთათიძემ უკვე მიიღეს მონაწილეობა შვეიცარიასა და საფრანგეთში გამართულ მასტერკლასებსა და კონცერტებში. მათი გამოსვლა ბათუმის მუსიკალური ცენტრის დარბაზიდან გადაიცა ფრანგულ არხ **MEZZO**-ს ეთერით 45 ქვეყანაში.

ამა წლის პირველ აპრილს ფონდმა "ლირამ" გამართა საქველმოქმედო კონცერტი ჭიათურაში საქართველოს სინფონიეტასთან ერთად.

ფონდ "ლირას" ხელშეწყობით, ნორჩი პიანისტები, ილია ლომთათიძე და ბარბარე თათარაძე 2013 წლის 14 მაისს მონაწილეობას მიიღეს გალა კონცერტში - ჟენევაში, რომელსაც აწყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია - The United Nations Office in Geneva, საქართველოსა და ლიტვის საელჩოები შვეიცარიაში.

ფონდ "ლირამ" 2013 წლის 7 ოქტომბერს გამართა საქველმოქმედო კონცერტი სენაკის დრამატულ თეატრში და მუსიკალურ სკოლასთან ერთად დასახა მომავალი გეგმები ახალგაზრდა პიანისტების დასახმარებლად.

ფონდი "ლირა" მჭიდროდ თანამშრომლობს თბილისის ე. მიქელაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელთან.

2013 წლის ნოემბერ-დეკემბერში "ლირა" მიემგზავრება შვეიცარიასა და საფრანგეთში.



საქართველოს  
პრეზიდენტის  
ოფისი

მივესალმები ამ შესანიშნავ ინიციატივას, რომლითაც დაარსდა საქველმოქმედო ფონდი „ლირა“. ვფიქრობ, რომ ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველი პიანისტების გამოსავლენად და მათ ხელშესაწყობად.

მადლობა მინდა გადავუხადო ამ ფონდის დაარსების ინიციატორს, დიდ პიანისტსა და საზოგადო მოღვაწეს ელისო ბოლქვაძეს, რომლის თაოსნობით შექმნილი ფონდი ბევრ ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდას საშუალებას მისცემს გავიდეს საერთაშორისო ასპარეზზე და შორს გაიტანოს საქართველოს სახელი.

მჯერა, ამ ფონდს გამოუჩნდებიან გულშემატკივრები და საკუთარ წვლილს შეიტანენ ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდა პიანისტების დახმარების საქმეში, რითაც კარგ სამსახურს გაუწევენ ჩვენს ქვეყანას და მის მომავალს.

*ბ. ივანიშვილი*

ბიძინა ივანიშვილი